მოდერნულობიდან არამოდერნულობისკენ:

ბრუნო ლატურის კოპერნიკისებური კონტრრევოლუცია

შოთა აზიკური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
ფილოსოფიის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიგა ზედანია, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

შოთა აზიკური

22 ივნისი 2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი ცდილობს, აჩვენოს მოდერნულობისთვის კანტიანური ეპისტემოლოგიის და მისი კოპერნიკისებური რევოლუციის ცენტრალურობა და აღწეროს, ლატურის მიერ კოპერნიკისებური კონტრრევოლუციის მეშვეობით, მოდერნული ეპისტემოლოგიის გადალახვა. ამასთან, ნაშრომში გამომჟღავნებულია მოდერნულების პოლიტიკური მოტივაცია და წარმოდგენილია ლატურის მიერ შემოთავაზებული არამოდერნულობის პარადიგმა, რომელშიც მოდერნულების მოძველებული თვისებები უკან არის მოტოვებული, მაგრამ შენარჩუნებულია დემოკრატია და განმანათლებლობის რიგი ღირებულებები.

კოპერნიკისებური კონტრრევოლუციის აღსაწერად, ნაშრომში გამოყენებულია ლატურის „პანდორას იმედში“ წარმოდგენილი ემპირიულ-ფილოსოფიურ საველე სამუშაო, რომელიც ეპისტემოლოგიის კითხვებზე ახლებურ პასუხებს სცემს და კანტიანურ პარადიგმას მოძველებულს ხდის. მოდერნული ეპისტემოლოგიის გამოგონების პოლიტიკური მოტივაციის გამოსარკვევად, წარმოდგენილია ლატურის მიერ პლატონის „გორგიაში“ სოკრატესა და კალიკლეს დებატების ანალიზი. მოდერნული მდგომარეობის კრიზისის აღწერისა და არამოდერნული ალტერნატივის წარმოსაჩენად კვლევა ეყრდნობა ბრუნო ლატურის საეტაპო შრომას „არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები“.

საძიებო სიტყვები: მოდერნულობა, არამოდერნულობა, კოპერნიკისებური კონტ-რევოლუცია, ჰიბრიდები, კოლექტივები, კონსტიტუცია, სამეცნიერო კვლევები, აქტორ-ქსელის თეორია

Abstract

The following paper aims to point out the centrality of Kantian epistemology and his Copernican revolution for the Modernity and describe how Latour's Copernican counterrevolution transcends Modern epistemology. The paper explores the political motivation of the Moderns and proposes Nonmodernity as Latourian alternative to Modernity, in which the outdated properties of the Moderns are abandoned, but at the same time values of democracy and the key pillars of Enlightenment are preserved.

In order to describe Copernican counterrevolution, the paper borrows from Latour's empirical-philosophical fieldwork, which is elaborated in his work, "Pandora's Hope". The results of this fieldwork make Kantian epistemology obsolete and give new answers to a set of epistemological questions. To explore the political motivations behind the invention of Modern epistemology, the following paper presents a Laturian analysis of Plato's "Gorgias", with a special emphasis on the debate between Socrates and Callicles. In order to characterize the crisis of Modern condition and introduce the Nonmodern alternative, Bruno Latour's seminal work, "We Have Never Been Modern", is used.

Keywords: Modernity, Nonmodernity, Copernican counterrevolution, hybrids, collectives, constitution, science studies, actor-network theory

მადლობა

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ელენე ლადარიას. მის მიერ თარგმნილი წიგნის „არასოდეს ვყოფილვართ მოდერნულები“ წაკითხვის შემდეგ პირველად დავინტერესდი ბრუნო ლატურის თეორიით. რომ არა ეს თარგმანი, შესაძლოა, ლატურის ტექსტებთან არც არასდროს მქონოდა შეხება. ლატურის ფილოსოფიაზე სამაგისტრო ნაშრომის დაწერის გადაწყვეტილებაც სწორედ ელენესთან საუბრის დროს მივიღე.

პირველად წაკითხვის შემდგომ გაჩენილი ინტერესის მიუხედავად, ჩემს ფილოსოფიურ განათლებასა და პოლიტიკურ და პრაქტიკულ მისწრაფებებთან არც ისე ახლოს მდგომი ლატურის თეორია ერთ-ერთ მოკლე ეპიზოდურ ინტერესად დარჩებოდა, რომ არა ჩემს მეგობარ, სოსო ჭაუჭიძესთან ამ ინტერესის გაზიარება. მასთან ერთად ლატურის ტექსტების ყურადღებით კითხვის, არაერთი დისკუსიის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის გარეშე, ნამდვილად ვერ გავბედავდი ჩემთვის ასეთ უცხო ავტორზე სამაგისტრო ნაშრომის დაწერას. ასევე მადლობა მინდა გადავუხადო მას მთელი ნაშრომის თავიდან ბოლომდე წაკითხვისა და მისთვის საბოლოო ვარიანტის შემუშავებაში გაწეული დახმარებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, გიგა ზედანიას, ჩემი ინტერესის წახალისებისა და გაზიარებისთვის, რაც ჩემთვის ნამდვილად მნიშვნელოვანი იყო. ასევე, დატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ჩემთვის დროის დათმობისა და სასარგებლო რჩევებისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო ნათია ქასრაშვილს. მასთან გავლილი აკადემიური წერის კურსი ძალიან დამეხმარა ნაშრომზე მუშაობისას. ასევე მადლობა მას უშუალოდ ნაშრომის დასრულებისას გაწეული დახმარებისა და რჩევებისთვის.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მშობლობს ემოციური და ასევე ფინანსური თანადგომისთვის, რამაც სამაგისტრო ნაშრომზე სრულყოფილად მუშაობის საშუალება მომცა.

მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის თანამშრომლები აკადემიური მუშაობისას ხელშემწყობი გარემოს შექმნისთვის და სასადილოს პერსონალი შესვენებებზე სასიამოვნო გარემოს შემოთავაზებისთვის.

დაბოლოს, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველა ჩემს მეგობარს, რომლებიც მგულშემატკივრობდნენ, ინტერესდებოდნენ ჩემი შრომით და იზიარებდნენ ჩემს ინტერესს. მათი მხარდაჭერის გარეშე ძალიან გამიჭირდებოდა ნაშრომზე მუშაობისთვის საკმარისი ძალისხმევის მოკრება.